ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 219
(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქ ფოთი **„30“** დეკემბერი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმის მაიკო კარანაიას (,,შემდეგში ,,მიმწოდებელი") სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შესყიდვის ობიექტი: შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების მომსახურების შესყიდვა, დანართი N1-ის თანახმად.

2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

2.3 კლასიფიკატორის დანაყოფი: 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 79952100 - კულტურული ღონისძიებების მომსახრება.

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, 2019 წლის 25 დეკემბრის N 5217 განკარგულების საფუძველზე (რეგისტრაციის ნომერი SMP მოდულში - SMP190005000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 30000 (ოცდაათიათასი) ლარს.

3.4 დაფინანსების წყარო: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომსახურების გაწევის ფორმა - მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი.

4.3 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

5.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 გასაწევიან/და გაწეული მომსახურების რაოდენობისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1უზრუნველყოს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების

შესრულების შეუძლებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.3მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები
11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ს/კ 215138143,
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.12.30 19:52:59 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

,,მიმწოდებელი''

ინდივიდუალური მეწარმე
მაიკო კარანაია
ს/კ 42001025310
მის: ქალაქი ფოთი, წმ.გიორგის ქუჩა N29
სს ,,საქართველოს ბანკი'', ბ/კ BAGAGE22,
ა/ა GE 80 BG 0000000162323244

Maiko Karanaia
Digitally signed by Maiko Karanaia
Date: 2019.12.30 20:08:08 +04'00'

ინდივიდუალური მეწარმე
მაიკო კარანაია

შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების მომსახურების ჩამონათვალი

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	განზო მილება	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	საახალწლო ღონისძიებების ორგანიზება		700	700
2	ღონისძიების სცენარითა და რეჟისურით უზრუნველყოფა		500	500
3	ღონისძიებების წამყვანი	4	250	1 000
4	საახალწლო კონცერტი , ქართული ესტრადის არანაკლებ 7 მომღერლის მონაწილეობით;	7	300	2 100
5	საახალწლო კონცერტი ,,ზამთრისა“, ზამთრის თემაზე შექმნილი ძველი, ცნობილი ჰიტების რემიქსები, პოპულარული საახალწლო მელოდიები; მინიმუმ 4 დამწყები, ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით;	1,5 საათი	1200	1200
6	თოვლის ბაბუა: ფორმით, გრიმით, ხურჯინით, საახალწლო აქსესურებიანი ქუდით, ბავშვებთან კომუნიკაციის უნარით, თოვლის ბაბუამ მონაწილეობა უნდა მიიღოს დამსწრე ბავშვებთან ფოტოსესიებში	1	250	250
7	თეატრალიზებული საბავშვო-გასართობი შოუ ორი დღის განმავლობაში მინიმუმ 7 ზღაპრის გმირის მონაწილეობით.	2 საათი	800	800
8	საშობაო მსვლელობისას მუსიკალური ფონის უზრუნველყოფა (ჩანაწერი ან ცოცხალი შესრულება, ხმის გაძლიერებლის ეფექტით)		100	100
9	შობის, ანუ ბეთლემის ვარსკვლავი - საშობაო მსვლელობისას დასარიგებლად: პუანსეტია, მწვანე ფერის ქოთანში ჩარგული, სიმაღლე: მინიმუმ 20 სმ. წითელი ფერის ფოთლებით;	20 ცალი	15 ლარი	300
10	ჩიჩილაკი, საშობაო მსვლელობისას დასარიგებლად: სიმაღლე: მინიმუმ 30 სმ, თავზე დამაგრებული წითელი ფერის მშრალი ხილის კუნწულებით;	50 ცალი	3	150
11	ღონისძიებების ვიდეო გადაღებით მომსახურება, მონტაჟი და დისკის დამზადება, ღონისძიებების ვიდეოკოლაჟის ამსახველი ვიდეოკლიპის დამზადება, მუსიკალური გაფორმებითა და ეფექტებით;	4 საათი	800	800
12	ხმის ოპერატორი, მინიმუმ 6 საახალწლო ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფა;	1	600	600
13	საბავშვო საახალწლო შოუ -პროგრამა; 2 დღე, ორი სეანსი (სულ 4 წარმოდგენა), თითო წარმოდგენის ხანგრძლივობა არაუმცირეს 1 საათისა	4 საათი	1500	1 500

14	ფასიანი საჩუქარი, გრანიტის ფილა, შესაბამისი პრინტითა და წარწერით გაფორმებული, ზომა- A5;	3 ცალი	25	75
15	ფასიანი საჩუქარი, ტილოს მასალაზე შესრულებული ფოტო, გამარჯვებული ნაძვის ხის გამოსახულებით, ჩარჩოში ჩასმული, ფორმატი -A4;	3 ცალი	25	75
16	ხის დაწნული, გალაქული კალათი სასაჩუქრე ტკბილეულითა და სადღესასწაულო შეფუთვით (სასაჩუქრე ტკბილეულის ნაკრები უნდა შეიცავდეს ბრენდირებულ ცქრიალა ღვინოს, არანაკლებ 0,75 ლიტრს, ბრენდრებულ ნატურალურ ხილის წვენს, არანაკლებ 1 ლიტრისა, ბრენდირებულ შოკოლადის ტრიუფელს მუყაოს შეფუთვით არანაკლებ 100 გრ, ბრენდირებულ თეთრი ფერის ჰაეროვანი ტკბილეულის შეკვრას, მუყაოს შეფუთვით, არანაკლებ 130 გრ. ბრენდირებულ საკონდიტრო ნაწარმ ბისკვიტის ტორტს, მუყაოს შეფუთვით, არანაკლებ 200 გ, სხვადასხვა სახეობის შოკოლადის კანფეტს, არანაკლებ 0,5 კგ. ბანანს, არანაკლებ 0,6 კგ, ანანასს -1 ცალი)	5 ცალი	80	400
17	ყაბალახი, წითელი ფერის, თეთრი კანტებითა და დეტალებით, ზომა: 1 მX 0.30 სმ;	15 ცალი	30	450
18	მოსაწვევები (საახალწლო ორმხრივი გაფორმებით, წარწერით - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი გილოცავთ შობა -- ახალ წელს, 300 გრამიან ცარცის ქაღალდზე, ზომით არაუმცირეს --15X10 სანტიმეტრისა)	1000 ცალი	1	1000
19	საახალწლო საჩუქრის ერთი შეფუთვაში უნდა მოთავსდეს შემდეგი ტკბილეული : კარამელის, მარმელადის და შოკოლადის კანფეტი-რაოდენობა 25 ცალი; 3 სახეობის საბავშვო რძიანი შოკოლადის ნაკრები- არანაკლებ 200 გრამისა; შოკოლადის ფილა, ფოლგითა და ფერადი ქაღალდით შეფუთული, არანაკლებ 100 გრამი; 2 შეკვრა ვაფლი, ქარხნული შეფუთვით, დაფასოებელი, არანაკლებ 50 გრამი; 1 ცალი კვერცხის ფორმის რძიანი შოკოლადი, გულში მოთავსებული სათამაშო-სიურპრიზით; 1 ცალი ქარხნულად შეფუთული საბავშვო ბისკვიტი დათუნიას გამოსახულებით -30 გრამი; 1 ცალი ქარხნულად შეფუთული კექსი შოკოლადის გარსით -არანაკლებ 50 გრამი; 1 შეკვრა საღეჭი კანფეტი, არანაკლებ 35 გრამი; საჩუქრების მოწოდება განხორციელდეს ეტაპობრივად, ღონისძიებების დაწყებამდე 2 საათით ადრე, ღონისძიების ჩატარების ადგილზე;	1000 ცალი	14	14000
20	საახალწლო საჩუქრებისთვის მუყაოს ჩანთა (ფერადი, საახალწლო გაფორმებით, 250 გრამიანი ცარცის ქაღალდი, ზომით არაუმცირეს 12X14 სანტიმეტრისა, წარწერით- შობა-ახალ წელს გილოცავთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი)	1000 ცალი	2	2 000
21	სასცენო კონფეტი	2 კგ	200	200
22	დიზაინი: ტერიტორიის მოწყობა საახალწლო დეკორაციებით და თემატური აქსესუარებით, 6 ცალი მაგიდა, 6 ცალი მაგიდის გადასაფარებელი სუფრა, წითელი ფერის, კუბოკრული (შოტლანდკა);		600	600

23	გლინტვეინი ადგილზე დამზადებით (შავი ღვინით, ფორთოხლით, დარიჩინის ჩხირებით, მიხაკის წიპწებითა სხვა დანამატებით) შესაბამისი აქსესუარებითა და სათანადო საპრეზენტაციო სერვირებით;	60 ლიტრი	600	600
24	ერთჯერადი ჭიქები, პლასტმასის, გაჭვირვალე, არადრეკადი, მყარი მასალისგან, მოცულობა -არანაკლებ 200 მლ.	600	40	240
25	სასცენო მაშხალა (ზომით არაუმცირეს 16 სანტიმეტრისა)	30 ცალი	12	360
	სულ			**30 000**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **,,30"** დეკემბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ ინდივიდუალურ მეწარმე მაიკო კარანაიასთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.12.30 19:53:43 +04'00'